საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-32/ნ

2021 წლის 14 აპრილი

ქ. თბილისი

,,დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 12/04/2021; 010170000.22.035.016858) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული №3 დანართი („კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვის თაობაზე განაცხადის ფორმა“) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი — **ეკატერინე ტიკარაძე**

დანართი №3

კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვის თაობაზე განაცხადი

განაცხადის ნომერი		**თარიღი**	

1. ინფორმაცია განმცხადებელზე	
სახელი გვარი:	პირადი ნომერი დევნილის რეგისტრაციის ნომერი:

2. განმცხადებლის ოჯახის შემადგენლობა

№	სახელი	გვარი	ოჯახის უფროსის მიმართ დამოკიდებულება (მეუღლე, შვილი, მშობელი, და/ძმა, შვილიშვილი, რძალი/სიძე და ა.შ.)	პირადი ნომერი

3. განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია	
ფაქტიური საცხოვრებელი მისამართი (ქალაქი/რაიონი, სოფელი, ქუჩა, ბინა)	ტელეფონის ნომერი

საცხოვრებელი სახლის (სახლი/ ბინა) მდებარეობა (ქალაქი/რეგიონი/რაიონი/სოფელი):

ჩვენ ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ განმცხადებელი …….. წარმოადგენს ჩვენი ოჯახის ყველა წევრის ინტერესებს და სააგენტოს თანამშრომლების მიერ, დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის შესაბამისად, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე კითხვარის ფორმის (დანართი №4) შევსების დროს ვაძლევთ უფლებამოსილებას, უპასუხოს კითხვებს.

ამ განაცხადზე ხელმოწერით ვაცხადებთ თანხმობას, რომ:

• სააგენტომ მის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს ინფორმაცია, ჩვენი ოჯახის „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად მინიჭებული ქულების და გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე.

• ამ განაცხადის საფუძველზე, ჩვენი გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შემთხვევაში სახელმწიფოს ეხსნება ჩვენი ოჯახის წევრების პირდაპირი დამავალი შტოს შთამომავლების საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილების ვალდებულება, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე.

• სააგენტოს აქვს უფლება, საჭიროების მიხედვით გადაამოწმოს რესპონდენტის მიერ კითხვარის შევსების დროს მოწოდებული ოჯახის წევრების პირადი ინფორმაცია (დევნილი ოჯახის საცხოვრებელი პირობების ადგილზე შესწავლა ნებისმიერ დროს, სხვადასხვა უწყებიდან და დაწესებულებიდან ინფორმაციის გამოთხოვა და სხვა). (შენიშვნა: სააგენტო იტოვებს უფლებას, ანკეტაში მცდარი ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში ბათილად ცნოს მიღებული გადაწყვეტილება).

განმცხადებლის ხელმოწერა: _____

ოჯახის წევრების ხელმოწერა: _____